ცნობის ფურცელი

№ 1877 ხუთშაბათი, 25 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1877

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში :აბჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ფოთის საბუხჰალტერიო კურსები
ა. კ. გიგინეიშვილისა.
თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—8)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე
ტურიაშვილი,
საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშო და თვალის.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.
წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა
დილით:
მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.
ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.
ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.
ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.
მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანაძეისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 274. (წლ.)

ბორჯომში
ექიმი ვ. ლამბაშიძე
იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.
ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის კომიტეტის დაარსება

როგორც სჩანს „კავკაზ“-ის გუშინდელ №-ში დაბეჭდილ ცნობიდან, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეს, ფინანსთა მინისტრს ვიტტეს, უკვე მოუხდენია განკარგულება ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტების დაარსების შესახებ. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ კომიტეტის თავმჯდომარედ იქნება გუბერნატორი, ხოლო წევრებად—გუბერნიისა და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, საგლეხო საქმეთა საკრებულოს ერთ-ერთი წევრი, სახაზინო პალატის თავმჯდომარე, სახელმწიფო ქონებათა მმართველი, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებ-ს თავმჯდომარე და ყველა ის პირნი, რომელთა მონაწილეობას გუბერნატორი სასარგებლოდ სცნობს. მკითხველებმა იციან აგრეთვე, რომ ამ კომიტეტებმა, უმაღლესის ბრძანების თანახმად, უნდა განიხილონ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებანი და თავისი მოსაზრებანი ამ საჭიროებათა და მათ დაკმაყოფილების შესახებ პეტერბურგში დაარსებულს საგანგებო კომიტეტს უნდა მიაწოდონ მომავალ ოქტომბრის 15-მდე.

ჩვენ რამდენჯერმე გვქონია ბაასი ამ კომიტეტზე და აღვნიშნავს, რომ ჩვენში ამ კომიტეტებს უფრო მეტი და უფრო მძიმე საქმე მოელისთ, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში. ეს აიხსნება ჩვენის სოფლის განსაკუთრებულ პირობებით, რომელნიც სრულიად არ არსებობენ რუსეთის შიდა გუბერნიებში. მიუხედავად ამ სიძნელისა და საქმის სირთულისა ჩვენში კომიტეტების მოღვაწეობის საქმე, სამწუხაროდ, უფრო შეუფერებელ პირობებშია, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში. იქ საგუბერნიო კომიტეტებსა და საგანგებო ცენტრალურს კომიტეტს უფრო მეტ სამსახურს სამაზრო კომიტეტები უწევენ. ყოველს მაზრაში დაარსებულია კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და რომლის წევრებად (გარდა დანიშნულებისა) არიან ყველა ისინი, ვის მონაწილეობასაც მაზრის მარშალი იცნობს სასარგებლოდ. თქმა არ უნდა, რომ სამაზრო კომიტეტებში უფრო ადვილად მოგროვდებიან ისეთი პირები, რომელთაც დაახლოვებით და პრაქტიკულად იციან ადგილობრივი საჭიროებანი. აი, ამგვარი კომიტეტები ჩვენში არ დაუარსებიათ და მთელი მძიმე ტვირთი ადგილობრივ სოფლის საჭიროებათა გამოკვლევის საქმისა საგუბერნიო კომიტეტს დააწვება.

რაკი საქმე ასეა, ჩვენის ფიქრით, საჭიროა ჩვენმა მაზრის თავად-აზნაურობამ თვით შეეცადოს და დახმარება აღმოუჩინოს საგუბერნიო კომიტეტებს. ამისათვის მას შეუძლია კერძო კრებები მოახდინოს, თავის მხრით ამოირჩიოს კერძო კომისიები; მათ შეამუშავებინოს ესა თუ ის საკითხები სოფლის შესახებ და შემდეგ თავისი შრომა საგუბერნიო კომიტეტს მიაწოდოს. მეორეს მხრით საჭიროა, რომ საგუბერნიო კომიტეტები ჩვენში უფრო მრავალ-რიცხოვანნი იყვნენ, ვიდრე შიდა რუსეთში. რადგან სამაზრო კომიტეტები არ არსებობენ, ამიტომ კერძო პირთა მოწვევა მრავლად შეძლებას მისცემს საგუბერნიო კომიტეტს უფრო ნაყოფიერად იმუშაოს.

რაც შეეხება კომიტეტების პროგრამმას, ის აღნიშნულია საგანგებო ცენტრალურ კომიტეტისაგან. საკითხები შეეხება მიწათ-მფლობელობას, სამეურნეო ტეხნიკას, მცირე კრედიტს და სხვა საჭიროებათ. ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ საგუბერნიო კომიტეტებს ნება ეძლევათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ისეთს საგნებს, რომელთაც თვით ცნობენ უსაჭიროესად და აგრეთვე შეიმუშავონ ისეთი საკითხებიც, რომელნიც პროგრამაში არ არიან შეტანილნი, მაგრამ ადგილობრივ სოფლის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ. ადგილობრივ კომიტეტებმა უთუოდ უნდა ისარგებლონ ამ ნებით და გამოარკვიონ ის განსაკუთრებული პირობანი, რომელნიც უმთავრესად აბრკოლებენ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განვითარების საქმესა და რომ ლნიც მეტად სჩაგრავენ ჩვენს სოფელს.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი ამ პირობების შესახებ და აქ არც ადგილია მათზე ვრცლად ბაასისათვის; ჩვენ მხოლოდ აღვნუსხავთ ზოგიერთ იმ პირობებს, რომელნიც ადგილობრივ სოფლის ცხოვრებას განსაკუთრებულ ცუდ მდგომარეობაში აყენებენ. ეს პირობებია: დროებით ვალდებულ გლეხობის არსებობა (უმთავრესად ტფ. გუბერნიაში), მეტის მეტი სიმცირე მიწისა (უმთავრესად ქუთ. გუბერნიაში), მამულების გაუმიჯნაობა (ორთავე გუბერნიაში), სათიბ-საძოვარ ადგილების უწეს-რიგობა და სიმცირე, სარწყავ არხების ნაკლებობა და მათი სარგებლობის უწეს-რიგობა და აგრეთვე საერობო დაწესებულებათა არ არსებობა. თითოეულ ამ საკითხს კაპიტალური მნიშვნელობა აქვს ჩვენის სოფლისათვის და თითოეული მათგანი არა ერთხელ ყოფილა გარჩეულ-გამოკვლეული როგორც წოდებრივ დაწესებულებებში, ისე მთავრობისაგან. ყველა მასალის შეგროვება, შესწავლა და მათ შესახებ შუამდგომლობათა აღძვრა იქნება საჭირო...

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს კომიტეტებში უმთავრეს მონაწილეობას ღებულობენ თავად-აზნაურნი. ეს გარემოება, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ გაკვრით, თავისებურობის ელფერს აძლევს ჩვენში ამ კომიტეტის მოღვაწეობას. შიდა რუსეთში გლეხობის ინტერესების დამცველად და მათ საჭიროებათა სამხელად ერობის წარმომადგენელნი არიან, რომელთაც მთავარი ადგილი აქვთ დათმობილი სამაზრო კომიტეტებში. ჩვენში გლეხობის ინტერესების დაცვა კომიტეტებში შეუძლია თავად-აზნაურობის ინტელიგენციას, თუ ეს ელემენტი შეიძლებს და მეტს ენერგიას გამოიჩენს და თუ ამასთანავე, დროის მოთხოვნის თანახმად, ერის ინტერესებს უფრო მაღლა დააყენებს, ვიდრე თავის წოდების კერძო ინტერესებს.

საზღვარ-გარედ

ოსმალეთი. დიარბექირის ვილაეტიდან, ჯეზირედან, დეპეშა გაუგზავნიათ სულთანისათვის, რომელზედაც ხელი უწერიათ სირიის, ქალდეის, სომეხ-გრიგორიან ეპისკოპოსებს, ებრაელთა რაბინს და სხვა წარჩინებულ პირთ. „რამდენიმე წელიწადია, რაც მშვიდობიანი და ერთგული ქვეშევრდომნი, ვითმენთ ყოველგვარ უსამართლობას და აკლებას მუსტაფა-ფაშის და მის სიძეებისაგან. მთავრობამ არაფერი არ იღონა ჩვენ დასაცავად და ამის გამო ქალაქი ჯეზირე გადაიქცა უწესოების ასპარეზად, და ახლო-მახლო სოფლები მკვლელობის ® ავაზაკობის ბუდედ. უმეტესი ნაწილი სოფლებისა უკვე დანგრეულია. სულ ახლა 600 ჰამიდიეს რაზმის ჯარის კაცი მუსტაფა-ფაშის მეთაურობით თავს დაესხა, მარტინის თოფებით ხელში, ქრისტიანეთა სოფლებს ხაზიკს და ბაბიკს, რომელნიც აქედან რვა საათის სავალზე არიან; 40 კაცი მოჰკლეს და უფრო მეტი დასჭრეს. ახლა ჩვენ ქალაქს ემუქრებიან. ქრისტიანები შიშმა შეიპყრო, რადგან მათი სიცოცხლე და ქონება განსაცდელშია. თუ მუსტაფა-ფაშის და მისი ნათესავების თავგასულობას მშვიდობიანი ღონისძიებით არა ეშველება რა, ვევედრებით თქვენ უდიდებულესობას გამოგვიგზავნოთ იმდენი ჯარი, რამდენიც საჭიროა მშვიდობიან მცხოვრებთა დასაცავად და დასაფარავად, რომელიც იძულებულია მიატოვოს სამშობლო მხარე. როგორც ყოველი, ესეც დამოკიდებულია ჩვენი უავგუსტოესი ფადიშაჰის სურვილსა ძლიერებასა და მოწყალებაზე“.

ასე ავიწროებენ ქრისტიან-სომხებს მაჰმადიანები ოსმალეთში, მაგრამ ახლა ყური დავუგდოთ, როგორ უჩივიან კრიტის კუნძულის მაჰმადიანნი იქაურ ქრისტიანებს: უკანასკნელ ოსმალ-ბერძენთა ომის შედეგი, სხვათა შორის, ის იყო, რომ კრიტის კუნძულს გუბერნატორად დაინიშნა გეორგი, საბერძნეთის მეფის შვილი. ადგილობრივ მაჰმადიანებს თურმე საჩივრით მიუმართავთ როგორც მისთვის, ისე სხვა სახელმწიფოთა კონსულებისთვის, მაგრამ პასუხი არ ულირსებიათ და ახლა შემდეგი პეტიცია გაუგზავნიათ რომში, საერთაშორისო კომისიის პრეზიდენტთან, დღევანდელ პირველ მინისტრ პრინეტტისთვის: „ჩვენ გვქონდა პატივი მოგვერთმია თქვენთვის ამ ცოტა ხნის წინად საჩივარი, იმავე მიზეზით გამოწვეული, როგორც დღევანდელი. კრიტოსის კუნძულის სოფლელი მაჰმადიანები, რომელნიც მშვიდობიანად ცხოვრობენ ჩვენ თანა-მეძამულე ქრისტიანების გვერდით, მუდამ ნიშანში ჰყავთ ამოღებული ქრისტიანებს და ითმენენ მათგან დაუძინარ მტრობას და ქურდობას, რასაც დიდი ზარალი მოაქვს. ერთად-ერთი საშუალება ამდენი უბედურების თავიდან ასაცილებლად ის არის, რომ უნდა გავყიდოთ ჩვენი სახლ-კარი და სამუდამოთ დავტოვოთ ის მხარე, სადაც დავბადებულვართ და აღვზრდილვართ. როდესაც ოსმალეთის ჯარები წავიდნენ კრიტიდან, ოთხმა მფარველმა სახელმწიფომ იკისრა მაჰმადიანთა ინტერესების და სიცოცხლის დაცვა. ამიტომ გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, დაგვეხმაროთ და ბოლო მოუღოთ სამწუხარო მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით“.

როგორ მართალი არ იყო ჰობსი, რომელმაც თქვა, რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო“.

ინგლისი. ირლანდიაში ბრძოლა რაც დრო გადის, უფრო მწვავდება. ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებლი, რომ ლენდ-ლორდებმა კავშირი შეჰკრეს ფერმერების ლიგის წინააღმდეგ და სცდილობენ ვითომ და კანონიერის, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ, ჯარიმების გადახდევინებით ქონებრივად დაასუსტონ ლიგა. რასაკვირველია, ასეთი პლანის ასასრულებლად მათთვის საჭიროა მთავრობის და უფრო კიდევ სასამართლოების მომხრეობა. მათ არც ერთი და არც მეორე არ აკლიათ და აი ეს არის, რომ უფრო ამწვავებს ისედაც გამწვავებულ საქმეს. ირლანდიელმა ნაციონალისტებმა დაჰგმეს მთავრობის პოლიტიკა ირლანდიის შესახებ. აღელვებული დეპუტატების დამშვიდების მაგიერ უინდჰემმა, რომელიც ირლანდიის საქმეთა მინისტრია, გამოაცხადა, რომ მთავრობა სასტიკ ღონისძიებას მიჰმართავს ირლანდიელთა წინააღმდეგო. დილლონმა უპასუხა, მაგ ზომებს საშინელი შედეგი მოჰყვებაო. ვიდრე ირლანდიელ გლეხებს

შექმლოთ კონსტიტუციის ნიადაგზე კანონიერი ბრძოლა, ისინი თვით აჩერებდნენ ტერრორისტებს; მაგრამ გაძლიერებულ დაცვის წესს მხოლოდ ერთად-ერთი შედეგი მოსდევსო. ეგ წესი მოძრაობას ვერ შეაჩერებს და მხოლოდ უფრო მკაცრ ხასიათს მისცემს მასაო. რიდმონდმა სთქვა, რომ მთავრობა უწყალოდ ეპყრობა ფერმერებსო. სრულიად ასე არ ექცევა იგი ლენდ-ლორდებსო. უკანასკნელ დროს ორი საიდუმლო დოკუმენტი გამოქვეყნდა, საიდანაც სჩანს, რომ ლენდ-ლორდები არ ენდობიან მთავრობას, თუმცა იგი ასეთი წყალობით ეკიდება მათ. ერთ დოკუმენტში ლაპარაკია ლენდ-ლორდების „კავშირის“ დაფუძნებაზე, რომელსაც სახელად „1902 წლის საადგილ-მამულო ტრესტი“ ჰქვია. დოკუმენტი იწვევს მიწათ-მფლობელებს, ერთ მილიონი მან. შევკრიბოთ ირლანდიის ლიგა-თან საბრძოლველადო. თურმე ამ „კავშირში“ ორი უმაღლესი მოხელეც ურევია,—სმიტ ბარრი და ლორდ კლონბროკი, რომელთაც ათ-ათი ათასი მანეთი მოუწერიათ. ამ დოკუმენტების შედგენის შემდეგ გავიდა შვიდი დღე და იმავე ორმა მოხელემ, როგორც საიდუმლო საბჭოს წევრებმა, თურმე ხელი მოაწერეს გაძლიერებული დაცვის წესის შემოღებაზე. ამის შესახებ რიდმონდმა შემდეგი სთქვა: „აი ეს რას ნიშნავს: გლეხებმა შეჰკრეს კავშირი თავის უფლებათა დასაცავად და მათ სდევნიან, განსაკუთრებულ სასამართლოში აძლევენ, მიტინგებს უკრძალავენ. მაგრამ აი კავშირი შეჰკრეს ლენდლორდებმა და ამ ორგანიზაციის მეთაურნი, მთავრობის სახელით, ხელს აწერენ ირლანდიაში ჩვეულებრივი კანონების გაუქმებაზე. ირლანდიაში ამ ჟამად დიდი ბრძოლაა ატეხილი მიწის მუშა გლეხთა და მიწის მესაკუთრე ლენდ-ლორდთა შორის. ნაციონალისტები ცხარე პროტესტს ვაცხადებთ, რადგან ამ დავაში მთავრობა ერთიანად ლენდ-ლორდებს მიემხრო, რომელთა ბრძანებას ბრმად ემსახურება... განა ირლანდიელებს შეუძლიათ პატივი სცენ კანონს, რომელიც ასე მიდგომით მოქმედობს? განა შეიძლება კანონის პატივის ცემა, სადაც მისი დამცველი შერიდანია?! შერიდანის ამბავმა მთელი ინგლისი აალაპარაკა ერთ დროს. ეს იყო მოხელე, რომელიც დიდად დახელოვნებული იყო აგრარულ დანაშაულობათა „აღმოჩენაში“, უკეთ ვსთქვათ, „შექმნაში“. ხან თივას ცეცხლს მოუკიდებდა, ხან საქონელს დაასახიჩრებდა, და ყოველთვის ჰპოულობდა დამნაშავეს, უსათუოდ გლეხს, რომელთაც ნაფიცი მსაჯულები კატორგაში ჰგზავნიდნენ. ბოლოს კი გამოდგა, რომ თურმე თვით შერიდანი და მისი მეგობარი რიდი განგებ ახერხებდნენ ამ ავაზაკობას, რომ სამსახური გაეწიათ ლენდ-ლორდებისთვის. უდანაშაულო ირლანდიელ გლეხებს ღუპავდნენ და თითონ კი ჯილდოებს იღებდნენ. როცა საქმე გამოქვეყნდა, შერიდანი მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვეს, მისცეს 2000 მან. ჯილდო და ისიც გაუდგა ამერიკის გზას. ამისთანა მაგალითი, თუ უარესი, სხვაც იყო. პოლიცია საჭიროებისამებრ ჰქმნიდა ქურდობას, ავაზაკობას და ყოველგვარ დანაშაულობას, რომელშიაც, რასაკვირველია, მუდამ ირლანდიელი გლეხები ერივნენ. რიდმონდმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „დესპოტიზმი, რომელსაც ჰსურს დაიმონოს ხალხი, მისი სურვილის წინააღმდეგ, იძულებულია აუცილებლად დაემყაროს ჯაშუშებზე და აგენტ-წამქეზებლებზე. ასე იქცევა ირლანდიაში სამინისტრო და აი ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლის გამოც ირლანდიელებს სძულთ მთავრობა. ირლანდიელები არ დამშვიდდებიან, ვიდრე მიწასთან არ გაასწორებენ „დუბლინ კასტლ“-ს (სასახლეა) და არ გამორეკენ ჯაშუშებს, ენის მიმტანებს, ცრუ-მოწმებს და აგენტ-წამქეზებლებს“.

უინდგემი, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პოლიტიკა ირლანდიის შესახებ ძალიან კარგია და პოლიცია იდეალურიო. რაც ცუდი ხდება, სულ „ანგარებით სავსე“ აგიტატორების ბრალიაო და სხ. მაგრამ რესელმა სიტყვა ადვილად მოუჭრა: თქვენ ნაციონალისტებს ანგარებას აბრალებთ, მაგრამ მართლა დარწმუნებული რომ იყოთ მათ ანგარებაში, დიდი ხანია ეცდებოდით მათ ყიდვასო.

ოპპოზიციამაც დიდი მონაწილეობა მიიღო ამ სხდომაზე და ჯონ მორლეიმ უსაყვედურა მთავრობას, რომ მან ნება მისცა თავის ორ მოხელეს ლენდ-ლორდების ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებისა.

ახალი ამბავი

✦ საერო განათლების სამინისტრო სთხოვს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს წარმოუდგინოს თავისი მოსაზრებანი ამიერ-კავკასიის საშუალო სასწავლებლების **პანსიონების გაფართოვების შესახებ.**

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ბევრ ადგილიდან მოუვიდა წერილები. წერილის პატრონნი ატყობინებენ, თუ **სასტატისტიკო ბიუროს კორესპონდენტები** სჭირდება სოფლებში სამეურნეო ცნობათა შესაკრებად, შეგვატყობინეთ, პროგრამაც გამოგვიგზავნეთ და ვიკისრებთ ამ საქმესაო.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიისთვის ახალ სადგომის ამშენებელ კომისიას ამას წინად სხდომა ჰქონდა, რომელზედაც გადასწყვიტა თვით შეუდგეს **სემინარიის სახლის აშენებას** და იჯარით აღარ გასცეს. კომისიის ეს გარდაწყვეტილება საქართველოს ეგზარხოსმა უკვე დაამტკიცა, ამიტომ ამ დღეებში კომისია შეუდგება მუშაობას და საჭირო მასალების მოპოვებას.

✦ თანახმად ტფილისის საქალაქო საბჭოს დადგენილებისა, გუშინწინ ტფ. საქალაქო გამგეობამ გადასწყვიტა ახლავ შეუდგეს ტფილისის **საქალაქო თვითმართველობის ყველა დადგენილებათა** შეგროვებას და ერთ კრებულად დაბეჭდვას. ამ საქმის სისრულეში მოყვანა დაევალა ს. თ. ჰრელაშვილს; გადაიდვა სულ 1000 მან.

✦ ამ რამდენიმე ხნის წინად ცნობილს მეღვინეს ი. პამფილოვს იალტიდან მიუმართავს ტფილისის გუბერნატორისათვის და უთხოვნია ცნობები **ტფილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ.** უთხოვნია აგრეთვე ცნობები იმ გადასახადების შესახებ, რომელიც ვენახებზეა გაწერილი. პამფილოვს აზრადა აქვს შეიმუშაოს საშუალებანი მევენახობა-მეღვინეობის გასაუმჯობესებლად და ეს ცნობები ამიტომ დასჭირებია. ტფილისის გუბერნატორმა ეს განცხადება გუშინ, 24 ივლისს, გადასცა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა მიაწოდოს პამფილოვს საჭირო ცნობები.

✦ ახალციხის ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართულ იქნას ახალციხეში **სავადმყოფოს** დაარსება; სავადმყოფოსთან პატარა აფთიაქიც უნდა იქნას.

✦ **კავთისხევიდან** (გორის მაზრა) **გვატყობინებენ:** ამ სოფლის მახლობლად გამართულია ბორანი, რომელიც იჯარით აღებული აქვს ჩიქოვანს. კვირას, 21 ივლისს, მეორე ნაპირზე გადასასვლელად ბორანში ჩამჯდარა 21 სული, ქალი და კაცი. როცა ბორანს შუა მდინარემდე მიუღწევია, რკინის თოკზე მიბმული რგოლები გატეხილა და ბორანი წყალს მოუტაცნია. ცოტა ხანს უკან მდინარის ტალღებს ბორანი გადაუბრუნებია და ეს ამოდენა ხალხი ქვეშ მოუტანებია. მაშინვე ნავები ჩაუშვიათ, ხალხიც მიშველებია და დიდის ბრძოლის შემდეგ ორის ქალის გარდა ყველანი გადაურჩენიათ დარჩობისაგან. ეს ორი ქალი წყალს ისე ჩაუძირავს, რომ ველარც ცოცხლები და ველარც მკვდრები ველარ უნახავთ. ერთი ამ დამხრჩვალთაგანი ამ დღეებში უნდა დანიშნულიყო.

გუშინ, როგორც გავიგეთ, დიდუბეში, მტკვრის პირად, უნახავთ კავთისხევში დამხრჩვალ ერთის ქალის გვამი და დეპეშით კიდეც უცნობებიათ ამის შესახებ კავთისხევში.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის ნებართვით ქალაქის დუქნების გამგემ ბ-ნმა ალიხანოვმა კოჯორის ახლო სოფელ კიკეთში იჯარით აიღო საძოვარი ადგილები, სადაც დასაკლავად ნაყიდ საქონელს შეინახავენ.

✦ ტფ. მესამე საქალებო გიმნაზიამ და კონსულის ქუჩის სახლის პატრონმა სულხანოვისამ უარი უთხრეს ქალაქის გამგეობას საქალაქო სკოლებისათვის ბინის მიქირავებაზე.

✦ ყარაიაზიდან გვატყობინებენ: აქეთ მეტად გავრცელდა სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება. ამ დღეებში ვიღაც თათრებმა ორი უღელი ხარი მოჰპარეს ერთ გლეხს, ერთ მუშას კიდევ ცხენი მოჰპარეს. 21 ივლისს, თათრები თავს დაესხნენ ყორღანოვის მწყემსებს, მაგრამ მწყემსები ყოჩაღად დახვედრიან და თუმცა თოფებისა და რევოლვერების სროლა ატეხეს, მაგრამ ქურდებს მაინც ვერაფერი წაუღიათ.

✦ დღეს, 25 ივლისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრის ბ-ნ კოჯაევისა, ტეხნიკოსისა და სასწავლებელთა ექიმისაგან შემდგარი კომისია დაათვალიერებს მამა-დავითის მოედანზე გამრეკელის ახლად აშენებულ სახლს, სადაც უნდა გადატანილ იქმნას მამა-დავითის პირველდაწყებითი სასწავლებელი ქალაქისა.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა უბნების ბოქაულთ: სასტიკი ყურადღება იქონიეთ, რომ მეეზოვებმა რიგიანად ასრულონ ღამით მორიგეობა და დროზე მიაწოდონ პოლიციის მმართველობას დაწესებული სადრესო ცნობებიო.

✦ ტფ. პოლიციაში პოლკოვნიკ ჩეკალინის მსახურს ჯარის-კაცს კომაროვს სასაცილო განცხადება შეუტანია: ბ. ჩეკალინის ბინის აივნიდან პოლკოვნიკის საკუთარი მტრედი გაფრინდა და განკარგულება მოახდინეთ მის მოსაძებნადაო.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, თუმანოვის ქუჩაზე, ხარიტონ შიოშვილის სახლში ტფილისის მოქალაქე ვასილ ისლევრიშვილსა და ალექსი იოსებიძე ოქროპირიძეს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ისლევრიშვილს უძგერია დანა, ოქროპირიძე მძიმედ მუცელში დაუჭრია და თვითონ სადღაც მიმალულა.

✦ 22 ივლისს, გონჩარნი ქუჩაზე მცხოვრებს ტფილისის მოქალაქეს იოსებ ნაზაროვს პოლიციაში გამოუცხადებია, რომ 20 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ჩემ სახლში შემოიპარა ვიღაც ბოროტ-გამზრახველი, რომელსაც მოუპარავს 40 მანეთის ტანისამოსი. მეორე დღეს კიდე მისულან ქურდები, მოუპარავთ სამი დიდი ხალიჩა, ერთი 300 მან., მეორე 150 და მესამეც 150 მან. ღირებული. ბოროტ-მომქმედთა და დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად პოლიციამ ღონისძიებანი მიიღო.

✦ 22 ივლისს დავით აჭირაპეტოვს გამოუცხადებია, რომ ჩემს მეზობელს მერონ გ. საფაროვსა და მე ანგარიშების დროს ჩხუბი მოგვივიდა, რომლის დროსაც საფაროვმა 40 მან. ღირებული ოქროს საათი და ფულიანი ქისა, რომელშიაც 20 მან. მქონდა, ამომაცალაო გამოძიება სწარმოებს.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 22 ივლისს სამოქალაქო კლუბში იმერეთისა და გურია—სამეგრელოს სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველებმა საპედაგოგიო კურსებზე ჩამოსულ სოფლის მასწავლებლებს სამუსიკო-სალიტერატურო საღამო გაუმართეს. მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის ყველა სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებლებმა, აგრეთვე დაბა ყვირილის საეკლესიო სკოლის მოსწავლეებმა და მგალობელთა გუნდმა, რიცხვით 40—50 კაცმა, და სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელ ქალთ და კაცთ. ლოტბარობდა გალობის მასწავლებელი კ. ფოცხვერაშვილი. პროგრამა მეტად რთული და ვრცელი იყო. ეტყობოდა, ამ საღამოს გამმართველთ არც შრომა და არც მაცადინეობა არ დაუზოგავთ, რომ დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დარჩენილიყო. ლექსების კითხვაში თითქმის ყველა სამრევლო სკოლის პატარა ბავშვებმა თავი ისახელეს. ლექსებს ქართულად და რუსულადაც ჰკითხულობდნენ გაბედულად და მკაფიოდ.

მასწავლებელმა მეტრეველმა წაიკითხა ჭავჭავაძის „ლოცვა“, ბ-ნმა ჯიქიამ „პოლტავის ომი“ პუშკინისა, და „ბედი ქართლისა“. ქალმა ჩიხლაძემ წაიკითხა „იუდა“ ნადსონისა, „მუშა ბოქულაძე“, გრ. ორბელიანის ლექსი, წაიკითხა მასწავლებელმა ჩხიკვიშვილმა.

სიმღერათაგან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და საზოგადოებას მეტად მოეწონა „ვახტანგ მეფე“, ქართული მარში ნოტებზე გადაღებული კ. ფოცხვერაშვილის მიერ და მისივე „ფაცხა“ და „ნანინა“—ბალანჩივაძისა და კ. ფოცხვერაშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული „გოგონა“. ეს სიმღერები რამდენჯერმე გაამეორებინეს. რუსულ სიმღერებიც კარგად შეასრულეს.

ბევრი აცინა საზოგადოება მასწავლებელ გაბრიჩიძის მიერ წაკითხულმა იმერულმა სცენებმა „მე ცოლის შერთვა მინდა“, „ცოლი შევირთე“ და „ცოლი მომიკვდა“.

საღამოს დაესწრო: ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სმაგინი მეუღლითურთ, ქუთაისის სასწავლებლების მასწავლებლები, სამღვდელოება და მრავალი გარეშე საპატიო პირნი, რომელნიც ამ საღამოზე მზრუნველების მიერ მიწვეულნი იყვნენ.

✦ სასაფლაოს ყველგან აქცევენ ყურადღებას და, რაც შეიძლება, ამშვენებენ და სუფთად ინახავენ. ჩვენში კი, შენს მტერს, რა უშნო-ულაზათოდ ინახება სასაფლაო!.. არ გვგონია სადმე მოიძებნებოდეს ისეთი მივიწყებული სასაფლაო, როგორიც ქუთაისის წმინდა გიორგის ეკკლესიის მრევლს აქვს. აქ ამ ჟამად პატარა კოხტა ეკკლესიაც შენდება. ეს სასაფლაო (სივრცით 5 ქცევამდე იქნება) ერთმა ქუთაისის მემამულემ მრევლს აჩუქა და მით დაიხსნა იგი გასაჭირისაგან, რადგან ეკკლესიასთან დასაფლავება მთავრობამ აღუკრძალა. ეს მუქთად ნაშოვნი სასაფლაო დღეს უფრო სანაგვეს წარმოადგენს. ვირი, ღორი, ძროხა, ხარი, ცხენი, და სხვა ხომ თავისუფლად დასეირნობენ აქ. ერთის სიტყვით, აქაური სიბინძურე აუწერელია. ცოტაოდენი მხნეობა რომ გამოეჩინა სასაფლაოს გამგეობას, არ გაუჭირდებოდათ ფულის შეკრება და, თუ ქვითკირისა არა, უბრალო ფიცრულისაგან, ან წნელის ღობე მაინც გაკეთდებოდა და სასაფლაო სუფთად შეინახებოდა. ამ ეკკლესიას 400-მდე კომლი მრევლი ჰყავს და, ვგონებთ, ადვილი მოსახერხებელი იყო სასაფლაოს გაწეს-რიგება.

რუსეთის ქრონიკა

✦ „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია, რომ აწ არსებულ წესის შესაცვლელად და დასამატებლად დადგენილ იქმნა: სასწავლებლების უფროსებს ნება აქვთ იშუამდგომლონ, რომ მოსწავლეებს სწავლის დასამთავრებლად იმ ვადის გარდა, რომელიც სამხედრო ბეგარის წესდებაშია აღნიშნული, დამატებითი ვადა მიეცეთ ხოლმე. ეს შუამდგომლობანი უნდა გადასწყვიტოს შინაგან საქმეთა მინისტრმა იმ სამინისტროსთან შეთანხმებით, რომელსაც სასწავლებელი ემორჩილება.

✦ შემოდგომაზედ ფინანსთა სამინისტროსთან კრება ექმნებათ გადასახადთა ინსპექტორებს. კრებამ უნდა გადაათვალიეროს სამრეწველო გადასახადის დებულება.

✦ ამას წინად რუსულ გაზეთებიდან გადმოვბეჭდეთ, რომ გაზეთი „პეტერბ. ვედომ.“, რომლის რედაქტორ-გამომცემლადაც დღეს თავ. ესპერო უხტომსკია, სხვის ხელში გადადის და რედაქციაც სრულიად იცვლება. ეხლა, როგორც თვით „პეტ. ვედ.“-ი აცხადებს, ეს ხმა განგებ მოგონილი და გავრცელებული ყოფილა. გაზეთს იჯარის ვადა 1907 წელს უთავდება თურმე.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად პერმის საგუბერნიო ერობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქ ეკატერინბურგში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. პოლიტეხნიკუმისთვის ფულის გადადებას შეჰპირდნენ საგუბერნიო ერობა და ქალაქი. სულ შემოწირულება 200,000 მანეთს მიაღწევს. მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომელსაც შუამდგომლობა გადაეცა, უნდოდა, რომ ამ საქმისათვის დახმარება გაეწიათ და ფული გადაედოთ ურალის მთა-მადნის მრეწველთაც. მაგრამ ამ უკანასკნელთ, რომელთათვისაც ყველაზედ უფრო საჭიროა პოლიტეხნიკუმი, გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ ამ სასწავლებლის დაარსება ნაადრევად მიგვაჩნიაო, და, რასაკვირველია, არც ფული გადაუდვიათ. სამინისტროს ამის გამო შესაძლებლად ველარ უცვნია შუამდგომლობის განხორციელება, რადგანაც მარტო შენობის ასაგებად ერთი მილიონი მანეთია საჭირო, შეიკრიბება-კი მხოლოდ 200 ათასი მანეთი.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს გაამრავლოს რუსეთში შინა-მრეწველთა კომიტეტების რიცხვი. სამინისტრო ჰფიქრობს 12 ახალ კომიტეტის დაარსებას.

✦ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სასულიერო აკადემიაში სწავლადამთავრებულნი იმ შემთხვევაში შეიძლება მიიღონ მასწავლებლებად ღედათა გიმნაზიაში, თუ ისეთნი არ აღმოჩნდებიან, რომელთაც ამ გიმნაზიების წესდება თხოულობს. ამასთან აკადემიის კანდიდატებს უნდა ჰქონ-

დეთ შინა მასწავლებლის მოწმობა. გიმნაზიაში სამსახურის დროს მათ ამ მასწავლებლის უფლებანი მიენიჭებათ.

✦ სამ აგვისტოს ძალაში შევა ახალი ტარიფი რკინის გზებზედ. ეს ტარი მეოთხე კლასის მგზავრებს შეეხება. თითო მგზავრს, ამ ტარიფით, ერთ ვერსში გადახდება $^3/_4$ კაპეიკი.

პრესსა

სასულიერო სემინარიების რეფორმის საჭიროებას რუსეთში დღეს თითქმის ყველანი ჰგრძნობენ. კარგა ხანია მოწინავე მწერლობა გაიძახის, რომ არც ერთი სასწავლებელი არა საჭიროებს ცვლილებასა და რეფორმას ისე, როგორც სასულიერო სემინარიაო: მართლაცა და ეს სასწავლებელი სხვებზედ მეტად ჩამორჩა ცხოვრებას; იქ ისეთივე წესები და პროგრამაა, როგორც ამ 40—60 წლის წინად იყო. თვით ოფიციალურ გაზეთს „ცერკ. ვესტ."-ს სასურველად მიაჩნია რეფორმა და პროგრამის შეცვლა სასულიერო სემინარიებში. ამ გაზეთის აზრით,

უნდა შემცირდეს ძველ ენათა გაკვეთილები, გაფართოვდეს პროგრამა რუსულ ლიტერატურის ისტორიისა, მოემატოს გაკვეთილები ფიზიკას, უკეთესად მოეწყოს გომილეტიკის სწავლება და შემოღებულ იქმნას არქეოლოგიის სწავლება. ეს ცვლილებანი რომ მოხდეს, სემინარია შესაფერ ცოდნას შესძენს მომავალ მღვდლებს.

არც ერთ სასწავლებელში დღეს იმდენ საგნებს არ ასწავლიან, რამდენსაც სემინარიაში. გიმნაზიის საგნებს გარდა სემინარიაში 9—10 სხვა საგანსაც გადიან. შედეგად ის მოსდევს, რომ სემინარიელნი ვერც ერთს საგანს ვერ ითვისებენ რიგიანად. საჭიროა მთავრობამ ამ გარემოებასაც მიაქციოს ყურადღება და სემინარიის კურსიდან სრულიად გამორიცხოს ისეთი სპეციალური საგნები, რომელნიც ვერც ცოდნასა სძენენ მოსწავლეებს და ვერც სხვა რამეს.

რაც შეეხება კერძოდ საქართველოში არსებულ სამინარიებს, უსათუოდ გაძლიერებულ უნდა იქმნას საქართველოს საეკლესიო ისტორიისა და არქეოლოგიის სწავლება. საქართველოს ეკკლესიას ისეთი დიდი წარსული ჰქონდა, რომ იმისი გაცნობა, არამც თუ ქართველთათვის, გარეშეთათვისაც არ იქმნება მეტი. ხოლო საეკკლესიო ისტორიისა და არქეოლოგიის შესასწავლად საჭიროა სემინარიებში მკვიდრ ნიადაგზე იქმნას დაყენებული ქართულის ენის სწავლება.

წერილი გურიიდან

(სამრევლო-საეკლესიო სკოლები და მეთვალყურენი)

ამ ათის წლის განმავლობაში ისეთი ცვლილება დაეტყო გურიის სოფლებს, რომ ყველა კეთილ და შეგნებულ ადამიანის გულს სიხარულითა და ნუგეშით ავსებდა. თითქმის ყველა ეკკლესიასთან არსდებოდა ახალი სამრევლო სკოლა. მღვდლები ბევრს მეცადინეობდნენ სკოლების დასაარსებლად; ამ შემთხვევაში ზოგი მოძღვრის მოვალეობას ასრულებდა, ზოგი წაბაძულობით იქცეოდა, ზოგი კიდევ იმ ხმით იყო შეშინებული, რომ ვისაც სკოლა არ ექნება ეკკლესიასთან, იმას ჯამაგირის ნაწილი გამოერიცხება და მიეცემა იმას, ვისაც სკოლა ექმნებაო; ამიტომ მღვდლები დღე და ღამე სცდილობდნენ, ხალხი მოემზადებინათ და ეკკლესიებთან სკოლები დაეარსებინათ.

მეცადინეობამ ნაყოფი მოიტანა და თითქმის ყველა ეკკლესიასთან სამრევლო სკოლა გაიმართა. მოსწავლენი ბუზივით მიაწყდნენ სკოლებს. მასწავლებლებად უმეტეს შემთხვევაში მღვდლები იყვნენ, ხოლო ვისაც ძალა არ შესწევდა, გარეშეებს იწვევდა მასწავლებლად.

მთავრობამ ამნაირ მეცადინეობას ყურადღება მიაქცია და სკოლებს სამაზრო მეთვალყურენი დაუნიშნა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ, არ ვიცით რა მიზეზით, სკოლები ზედი-ზედ იკეტებოდა. მარტო ერთ საზოგადოებაში დაიკეტა მღვდლის ანდრია მოციქულის ეკკლესიის სამრევლო სკოლა, დაარსებული 1890 წელს, ხოჯალიის სამრევლო სკოლა, დაარსებული 1894 წელს, გემმანეთის სამრევლო სკოლა, დაარსებული 1894 წ., სუფსის სკოლა, 1893 წელს დაარსებული. ეს სკოლები ისე გარდაიცვალნენ, რომ მაზრის მეთვალყურემ დასაფლავებაზე დასწრება და სამძიმრის გამოცხადებაც კი ვერ მოასწრო.

ეხლა ახალი მეთვალყურე გვყავს; ამბობენ, თვალიც უჭკრავა და ყურიცაო, და ღმერთმა ინებოს, რომ ეს ხმა მართალი გამომდგარიყოს. ოღონდ ერთი რამ მინდა შევნიშნო: წინანდელ მეთვალყურეს სოფლის მღვდლობა, მეთვალყურეობა, ბლაღოჩინობა, სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარეობა და ორი-სამი სხვა ამგვარი თანამდებობა ჰქონდა ჩაბარებული და გგონებ, ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ მეთვალყურეობას ვერ ახერხებდა. როგორც გავიგე, ახალი მეთვალყურეც ასევე იტვირთებს სხვა-და-სხვა თანამდებობით: იგი გახლავთ სოფლის მღვდელი, სამოქალაქო სკოლის სადმრთო-სჯულის მასწავლებელი, საქალებო სკოლის ამავე საგნის მასწავლებელი, სასულიერო სკოლის დეპუტატი და ბლაღოჩინობასაც ამ ცოტა ხანში მისცემენ თურმე. შენც დამეთანხმები, მკითხველო, რომ ყველა ამ თანამდებობის პირნათლად ასრულება ერთის კაცისათვის ძნელი და თითქმის შეუძლებელია.

„მე—შენ"

წერილი თელავიდან

(სამი დღე უპუროდ)

ამ 6—8 წლის წინად, როდესაც თელავში იმერელი მეპურეები არ იყვნენ, ადგილობრივი მცხოვრებნი შინ გამომცხვარი პურით იკვებებოდნენ. მაშინ 3—4 დუქნის მეტი არ იყო და ამ დუქნებშიაც მარტო დროებით მცხოვრებნი ვაჭრობდნენ. შემდეგ მეპურეებმა იმატეს და ბოლოს ისე გამრავლდნენ, რომ თითქმის ყოველ უმთავრესს ქუჩაზე შეჰხვდება კაცი იმათ დუქნებს. ადგილობრივი მცხოვრებნიც ნელ-ნელა მიეჩვივნენ გამომცხვარ პურის ყიდვას, ასე რომ დღეს თითქმის ყველამ მიატოვა თავი პურის შინ ცხობა. ახლა თელავის მცხოვრებთა 80% მეპურეებისაგან ყიდულობს პურს.

აი სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 17, 18 და 19 ივლისს მთელ თელავის დუქნები რომ შემოერბინა კაცს, ერთ გირვანქა პურს ვერ იშოვნიდა. 16 ივლისს თელავის მეპურეებს გამოუცხადეს თვით-მმართველობის მიერ დადგენილი და ბ-ნ გუბერნატორისა მიერ დამტკიცებული ნიხრი პურისა. ამ ნიხრის ძალით პირველ ხარისხის პური უნდა გაეყიდნათ $3^1/_2$ კაპ. მეორესი—3 კ. და მესამესი ე. ი. ადგილობრივ ფქვილისაგან გამომცხვარი პური,—$2^1/_2$ კ. მეპურეებმა მაშინვე მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს პური აღარ გამოეცხოთ, მეორე დღეს ისე ცოტა გამოაცხვეს, რომ პირის ქარად არ გაჰხვდა მცხოვრებთ ისევე მოიქცნენ მესამე დღესაც. უპუროდ დარჩომილი ხალხი დუქან-დუქან დადიოდა, მაგრამ მეპურეებს ვერა ჰხედავდა. ისინი თელავს გარედ წასულიყვნენ მოსალაპარაკებლად. მალე თელავის მამასახლისმა და ბოქაულმაც შეიტყეს და გაემგზავრნენ დუქნებში სარჩევად, მაგრამ მეპურეები იქ არ დაჰხვდნენ; ამიტომ ქალაქ-გარედ წავიდნენ. იქ მეპურეებს ეთქვათ, რომ ვზარალობთ და ამისათვის ვეღარ ვაცხობთო. ამ ამბავმა მცხოვრებთა შორის ლაპარაკი გამოიწვია, ზოგი იმასაც ამბობდა, ნიხრს რად მოუკლეს ქალაქის მამებმაო.

18 ივლისს, საღამოთი, მაზრის უფროსმა შეჰყარა მეპურენი სამაზრო გამგეობაში მამასახლისისა და სხვა მოხელეთა თანადასწრებით და, ბევრის დარიგების შემდეგ, ურჩია განეგრძოთ პურის ცხობა ახალ ნიხრზე, მაგრამ მათ ერთხმად და გადაჭრით უპასუხეს, რომ პურის ცხობა აღარ შეგვიძლიან, ჯერ ახალი მოსავლის ფქვილი არ შემოსულა გასასყიდათ, ტფილისიდან მოტანილს კიდევ ძვირადა ვყიდულობთ და ვზარალობთო. ასეთ განცხადების შემდეგ მამასახლისმა სთქვა, რომ ქალაქს ჰყავს ისეთი კაცები, რომელთაც პურს გამოაცხობინებს და მაშინ, იმედია, მცხოვრებნი უპუროდ არ დარჩებიანო. ამას გარდა ერთი იმერელიც აღმოჩნდა, რომელმაც თანხმობა გამოაცხადა პურის ცხობაზე. დანარჩენთ კი, რიცხვით 16—18 მეპურემ, უარი განაცხადეს, რის გამოც ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ახლად დამტკიცებულ ნიხრის გამო პურის გამოცხობაზე უარს ვამბობთ, ხვალიდანვე მოვსპობთ პურის ვაჭრობას და ვისსაც ნება აღარ გვექნება თელავში პურის ცხობისაო.

თუმცა შემდეგ კიდევ დაარიგეს, რომ ამით თავიანთ თავსა ჰღუპავენ, მაგრამ იმათ მაინც არ დაიშალეს.

19 ივლისს პურის დუქნები დაკეტილი იყო. ქალაქის მიერ დაქირავებული მეპურეები გაცხარებულნი აცხობდნენ პურს; თუმცა იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ თონიდან ამოხდას არც კი აცდიდნენ, მაგრამ მაინც მთხოვნელთ აკმაყოფილებდნენ. წინანდელმა მეპურეებმა, დაინახეს რა პოლიცია აღარ ხუმრობდა და ხელ-წერილის ძალით პურის ცხობას უკრძალავდა, მალე გონს მოვიდნენ, მით უმეტეს, რომ ბევრს მათგანს ვალი ჰქონია ფქვილის გამყიდავებისაგან აღებული და ნისიაც ჰქონდა მუშტარზე გაცემული, და დაიწყეს თხოვნა ხელ-წერილის გაუქმების შესახებ. მათ მიჰმართეს მაზრის უფროსს თხოვნით, რომელშიაც სწერდნენ, რომ ასეთი ქცევა ჩვენმა უცოდინარობამა და გაუგებრობამ გამოიწვიაო. სთხოვდნენ ნებართვას პურის ცხობისას. მაზრის უფროსმა თელ. მამასახლისის თანხმობით ნება-დართო აეღოთ დუქნები და პური ეცხოთ ახალ ნიხრზე. ამის-დამიუხედავად მეპურეებს პასუხის გებაში მაინც მისცემენ ასეთ ქცევისათვის.

21 ივლისიდან კუდანდებურად პურის ცხობა დაიწყეს.

გორის-მირელი.

წერილი ცხინვალიდან

ცხინვალი გადაბუგვის შემდეგ

მთელი კვირა მოშორებული ვიყავ ცხინვალს. მოვშორდი აგრეთვე იქაურს ჭორიკანობას და დონ-კიხოტობას. სოფლის წმინდა ჰაერმა, იქაურმა სილაღემ და თავისუფლებამ დამიბრუნა სულის სიმშვიდე და ახალის იმედებით დავბრუნდი ცხინვალს. მაგრამ უზომო იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც ისედაც უბადრუკი დაბა ნახევრად განადგურებული დავინახე. უკეთესი კუთხე ებრაელთა უბნისა ცეცხლისაგან გადაბუგული დამიხვდა.

ეს რა უბედურობა მოგვსვლიათ-მეთქი? ვკითხე ერთ მოხუცს.

— „ეს რა არის! 15 ივლისს უნდა გენახათ, რა უბედურება დატრიალდა აქა. ვინ იფიქრებდა ჩვენს გადარჩენას? ერთს ებრაელ დედაკაცს აივანში ქურა ჰქონდა თურმე გაკეთებული: შიგ გაეჩაღებინა დიდი ცეცხლი და დაეწყო სადილის მზადება; შემდეგ სარეცხი დაერეცხა, ცეცხლი კი უყურადღებოდ დაეტოვებინა. ქარიც იყო იმ დღეს. რეცხვა არ გაეთავებინა იმ შეჩვენებულს, რომ ცეცხლი ჰერს მოსდებოდა, იქიდან მეორე სახლზე გადავიდა, შემდეგ მესამეზე, მეოთხეზე, ასე გაჰყვა და გადაიწვა ეს ქუჩაო"— მიპასუხა მოხუცმა.

ვინ გშველოდათ?-მეთქი—ვკითხე.

— „მშველელი ცოტა იყო. უმეტესი ნაწილი გლეხ-კაცობისა სამუშაოდ იყო გასული. ბოქაულმა „სტრაჟნიკები" იმათ საძებრად აქეთ-იქით დაჰფანტა. თვითონ ბევრს დარბოდა მამაცხონებული ცხენით და ხალხს საშველად მათრახით ერეკებოდა, მაგრამ, სანამ ისინი შეგროვდნენ, ჩვენ ჩვენი დაგვემართა", მოწყენით ჩითხრა მან და განარგძო: „აგერ იმ ყრილობასა ჰხედავ? ეს დაკარგულ ნივთების მაძიებელნი არიან: ცეცხლს იმდენი არ დაუწვავს, რამდენიც მოიპარეს. ქურდების ყველიერი იყო იმ დღეს. ისინი არა თუ ნამალავად, დედაკაცებს ხელიდან სტაცებდნენ ცეცხლისაგან გადარჩენილ ნივთებს და გარბოდნენ. ყურადღება არსაიდან იყო და თავისუფლად ნავარდობდნენ".

მოხუცმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი და წავიდა. ეტყობოდა, კმაყოფილი არ იყო ადმინისტრაციისა. იმ დღეს ხშირად მესმოდა: „სადა ხარ, გუგუშვილო პრისტავო!..". ყოველ დღე დავიარები აოხრებულს უბანში, რომელიც ძალზე ატალახებულია და ცეცხლის სუნი კიდევ უდის. სახლების კედლები ჯერ კიდევ დაუნგრეველია, საკმარისია ერთი ძლიერი ქარი, რომ ჩამოინგრეს და მგზავრი იმსხვერპლოს. სურათი გულის ამღვრევია. ისმის დედაკაცებისა და ბავშების ტირილი თავიანთ სახლების ნანგრევებზე. ებრაელთა გარდა ოცი კომლი ქართველი გადაიწვა, რომელთაც ქვეშსაგების გამოტანაც ვერ მოასწრეს.

დაიწვა რამდენიმე ქალი და კაცი. ორი ქალი უკვე გარდაიცვალა. დაშავებულიც ბევრია. დღეს დაურიგეს სანოვაგე, ქუთაისიდან და ტფილისიდან მიიღეს ფულით შეძენილი. ასი მანეთი ფული ცხინვალში შეაგროვა კომიტეტმა.

თითო ოჯახში 15 სულია მოთავსებული. ამ გარემოებას გუბერნიის ექიმის თანაშემწემ ბ-ნმა მაჭავარიანმა ყურადღება მიაქცია და ითხოვა მათი განცალკევება. დაზარალებულთა რიცხვი 300 კომლია. დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად ზომებია მიღებული. ამ საქმისათვის რამდენიმე კაცია ამორჩეული. მათ შორის დიდი მხნეობა გამოიჩინა ვასილ მიხეილის ძე ელიოზოვმა, რომელმაც მრავალი დაკარგული ნივთი აღმოაჩინა.

ხულუმარი

წერილი რაჭიდან

ჩვენებური მოღვაწენი.—„უჩასტკის" დაარსება ქვემო რაჭაში.—რაჭა-ლეჩხუმის ერთ მაზრად შეერთება

დიდი ჭკუა არ უნდა, რომ კაცმა ასწონ-დასწონოს ინგლისში ეხლა-ხან პირველ მინისტრად არჩეულ ბალფურის წინადხედული საქციელი: სანამ გარდასწყვეტდა ამ ფრიად მაღალსა და საპატიო თანამდებობის მიღებას, ბალფურმა თითქმის ყველა თავის მოყვარესა და ორგულს, ამხანაგსა და მტერს მიჰმართა და სთხოვა დახმარება და, როდესაც დახმარება აღუთქვეს, მხოლოდ მაშინ გადასწყვიტა მეფის წინაშე გამოცხადება,—პირველ მინისტრობას ვკისრულობო. ჩვენში-კი აარჩიე კაცი და იმისი ჯავრი არა აქვს, შესძლებს საქმის გაკეთებას და უნდა დახმარება თუ არა; არის იგი შესაფერი არჩეულის ადგილისათვის, თუ არა?.. ბევრი იმისთანა ვიცი ჩვენში, რომ „მამაო ჩვენო".ს ძლივს ახერხებს და, რომ აკურთხონ, ეპისკოპოსობასაც არ ითაკილებს. ისეთებიც არიან, რომელთაც შეუძლიანთ შრომა და საქმის გაკეთება, მაგრამ ხშირად გაურბიან საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობას და სხვა მხარესა და სხვა საგანს ახმარებენ შრომასა და ძალას. მოხდება ხოლმე, რომ არც საზოგადოება დაეძებს თავის მიერ არჩეულ კაცის მოქმედებას.

ყველა ამას იმიტომ მოგახსენებთ უბრალო კორესპონდენციაში, რომ სოფელი, განსაკუთრებით მივარდნილი და მიყრუებული სოფელი, დიდად დატანჯულია უკაცობით. ვერც ერთ თანამდებობაზე ვერ შეჰხვდებით ხეირიანს, მშრომელს და მცოდნე კაცს. არ იფიქროთ, არ იყვნენ ასეთი კაცები! არიან, მაგრამ ისინი ან თვითონ გაურბიან საქმეს, ან სხვები არ უშვებენ ამ საქმემდე.

გამუდმებული საყვედური ისმის ხოლმე რაჭა-ლეჩხუმიდან, არა იწერება რა რაჭა-ლეჩხუმზე, ჩვენი ჭირი და ვარამი არავის აინტერესებს, გული არავის შესტკივა ჩვენთვის და სხვათ. ოღონდაც რომ შეგვტკივა და სურვილიც გვაქვს, მრავალი სიკეთე მივუძღვნათ ჩვენს მივიწყებულს რაჭა-ლეჩხუმს, მაგრამ, აბა ერთი გვიბრძანეთ, რა ძალითა და ღონით? ნამეტან ცუდს მდგომარეობაში ვართ ბევრგვარად, მაგრამ ყველაზე დამაღონებელი და წყლის მომწყვეტი ის არის, რომ ნდობა არსად მოიპოვება, არც შიგნით და არც გარეთ. რამე საკეთილო საქმე რომ აღძრა, შეუძლებელია ეჭვის თვალით არ შემოგხედონ შინაც და გარედან. რადგან პირად ანგარიშებს და ინტერესებს დაგწამებენ.

რამდენი საჭიროება ჩვენს მაზრას აქვს და ჰქონია—ამის ჩამოთვლა ძნელია. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ერთი დიდის ხნის სურვილი ადგვისრულდა და, როგორც იქნა, ვეღირსეთ ქვემო-რაჭაში „უჩასტკის" დაარსებას. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი აყალ-მაყალია იმაზე, თუ რომელ სოფელში იყოს იგი. ზოგი ამბროლაურისკენ ეწევა, ზოგი კიდევ სოფელ საღმელში თხოულობს. ჩემის აზრით, ეს უკანასკნელი უფრო შესაფერი და მოხდენილი ადგილია. ყოველს შემთხვევაში, სადაც უნდა გაიმართოს იგი, ქვემო-რაჭისთვის დიდი შვება და შეღავათი იქმნება.

პირადად მე იმდენად „უჩასტკის" დაარსება არ მაინტერესებს, რამდენადაც სულ სხვა რამ. ონის არე-მარე ყოველს დღე დიდს შიშშია მიწის ძვრისაგან, ხოლო ცაგერი უგზო-უკვლობით თითქმის მიუდგომელ ადგილად შეიქმნა, ამიტომ, ჩემის აზრით, ძრიელ კარგი იქნება, რომ რაჭა-ლეჩხუმი შეერთდეს. შუაგულ სამაზრო ადგილად აღიარებულ უნდა იქმნას საზღვარზე მდებარე სოფელი ჭრებალო. ეხლანდელს დაბებში-კი, სადაც სამოსამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებანია, უნდა დაარსდეს განყოფილებანი, სადაც იქნება მომრიგებელი მოსამართლე და მაზრის უფროსის თითო თანაშემწე, ორი „უჩასტკის" ბოქაული, ერთი სასამართლოსი და ერთიც პოლიციისა; ფოსტის ნაწილი, აფთიაქი, და სასოფლო სამკურნალო. ჭრებალოში-კი დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, ჩინებული სამაზრო ქალაქი გაშენდება, რომელიც სულ ახლო მომავალში აჰყვავდება და მოეწყობა ყოვლის მხრით. აი, მაშინ-კი ეღირსებათ საწყალ რაჭა-ლეჩხუმლებს პროგიმნაზია და ქალების სასწავლებელიც, რომლის წყურვილითაც დღემდე დამხრჩვალი ვართ.

შუა აგვისტოს ჩვენ ველოდებით გუბერნიის ახალს უფროსს. ყოველს ამგვარს შემთხვევას, ესე იგი, ახალ გუბერნატორის მოსვლას, როგორც ახალ წელს ისე ვეგებებით: იმედი გვებადება, რომ ჩვენს ჭირსა და ვარამს მალამოს მოუპოვებს, მაგრამ ხშირად იმედი გვიცრუვდება. ვისურვებთ, ეხლა მაინც არ გაგვიცრუებოდეს იმედი.

დიმიტრი უიფიანი

წერილი ნიგოითიდან

„მარინობის“ ბაზრობა

10 ივლისიდან აქ უკვე დაიწყო ბაზრობა, ეგრედ-წოდებული—„მარინობა“. ამ ბაზრობამ ჩვეულებრივ უნდა გასტანოს თვის დამლევამდის. დიდ-ძალი ვაჭარი მოაწყდა ბაზარს თითქმის ყველა მახლობელ ქალაქსა და დაბა-სოფლიდან და დაიჭირეს თითქმის ყველა კარავი. სასტუმროებიც რიცხვით არ ჩამოუვარდებიან სავაჭროებს. მხოლოდ მუშტარი ჯერ სანთლით საძებარია. აგერ ოთხი დღე გადის, რაც ბაზრობა დაიწყო, და ჯერ არც ერთი სოფელი არ დაძრულა. რადაც საიდუმლოებით არის მთელი კარვები მოცული. უცხო ვინმემ რომ ახლო გაიაროს, იფიქრებს, ჯარია დაბანაკებული თავის აუარებელ სურსათითო.

მეტადრე მეფარდლეებს ჯერ ალაბი არ აუღიათ და გულ-ხელ დაკრეფილნი და დაღვრემილნი ცის კიდისკენ გაიყურებიან, თითქოს ბედის შეცვლას იქიდან მოელიანო. (ცოტა იყოს, ამინდიც არა სწყალობთ). მხოლოდ ხან-და-ხან თუ ვინმემ კარვებს ჩაუარა, აქეთ-იქიდან ატყდება ახალ-გაზრდა ნოქრების ხმაურობა: „დედობილო, მამობილო! ძმობილო, დობილო!.. ცახოციანო, ჩოხიანო! ყაბალახიანო, შლიაპიანო!.. ქალიშვილო, ბარიშნა! ნენა, დაია!.. აქეთ მობრძანდით! აქით გამოუხვიეთ!.. ერთი გამოიხედეთ მაინც! საქონელი ნახეთ! ნუ ყიდულობთ, ისე ნახეთ!.. გეიგეთ, რა ფასებშია მაინც! ძვირია, თუ იაფი!..

ბოლოს შეკურთხებამდისაც აღწევს საქმე, ხოლო, როცა ვერაფერს გახდებიან, გულ-დაწყვეტილნი მეკვირალანი, უკუჯდებიან თავიანთ დახლებში. გამვლელნი კი ყურადღებასაც არ აქცევენ და, რაც ძალი და ღონე აქვთ, ფეხებს მიაჩქარებენ, რომ არავინ აუდგინოს რამე.

სოფლელებმა აქ ვაჭრობა ჩალაგების დროს იციან თურმე, როდესაც ვაჭრები წასვლას დააპირებენ და საქონლის ჩალაგებას იწყებენ. იმის თვისა სჩადიან ასე, რომ საქონელი იაფად დაირჩინონ. არ ვიცი, რომელი რომელს ატყუებს: სოფლელი ვაჭრებს, თუ ვაჭარი სოფლელს? გამარჯვებას ამ შემთხვევაში ვერც ვაჭრებს მივულოცავ, მაგრამ არც სოფლელნი მოიგებენ ბევრ რამეს, რადგანაც ამ ნაირის ოინით გაბოროტებულნი ვაჭრები უკვე ღონეს იღონებენ, რომ საქონელი ერთი ორად უფრო ძვირად მიჰყიდონ.

ამ რიგად ხალხს ვერც „ჩალაგება“ უშველის და ვერც „გადალაგება“, რახან ვაჭრებმაც ეს „ჩალაგებ-გადალაგება“ კაი ხანია გაიზეპირეს და შესაფერი ზომებიც მიიღეს.

„პეტრე-პავლობის“ მნახველის ყურადღებას აქ სხვათა შორის ერთი გარემოება იქცევდა: აქ ვაჭრები მხოლოდ კარვის ქირას იხდიან; სავაჭრო ბაჟი კი კარგა ხანია კანონმა ჩამოაცალა. იქ კი წელს ასე არ უქნიათ: კარვის ქირის გარდა, ვაჭრებმა სავაჭრო ბაჟიც თურმე გადაიხადეს. საკვირველია,—რა მიზეზია, რომ კანონმა აქ გაანთავისუფლა ვაჭარნი ბაჟისაგან, იქ-კი არა.

მირიანი

სასამართლო

საქმე ცრუ-დაბეზღების შესახებ

გუშინ, 24 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ახალციხის მცხოვრების აზნაურიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ბათუმის პოლიცმესტრის თანაშემწის მიხეილ ქურდიუმოვის ცრუ დაბეზღება. ამ რამდენისამე ხნის წინად აზნაურიშვილს თხოვნა მიურთმევია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის და განუცხადებია, რომ ბათუმის პოლიცმეისტრის თანაშემწე ქრთამებს იღებსო. იგი ქრთამებს ზნე დაცემულ ქალებსაც-კი ართმევს იმ განზრახვით, რომ დაიფაროს და დაიცვას ისინი, ქრთამებს იღებს აგრეთვე მედუქნეებისაგანო. ბოლოს აზნაურიშვილი სთხოვდა მთავარ-მართებელს, რომ ეს კაცი მოგვაშორეთო. თუმცა მე ქართველი ვარ და ასეთ საჩივარს არ უნდა ვაცხადებდე ჩვენისავე ტომის კაცზე, მაგრამ ფიცი მივეცი რუსეთის მეფეთა ერთგულებაზე და ვალდებული ვარ ზნეობრივად, ასეთი ბოროტ-მოქმედება არ დავმალო და ვაუწყო თქვენს ბრწყინვალებას, რომ ისეთ მავნე პირებს, როგორიც მიხეილ ქურდიუმოვია, ადგილი არ ჰქონდეს საზოგადოებაშიო და სხვ. კავკასიის მთავარ-მართებელს ამ საქმის გამოძიება მიუნდვია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის. გამოძიებით გამოკვლეულა, რომ ქურდიუმოვს არავითარი ქრთამები არ აუღია, ამიტომ ეს განცხადება აზნაურიშვილისა ცრუ დაბეზღებად მიუღიათ. ამის გამო მთავარ-მართებლის განკარგულებითვე აზნაურიშვილი ცრუ-დაბეზღებისათვის სასამართლოს პასუხის გებაში მიუციათ. გუშინ ოლქის სასამართლოში საქმის გარემოება ეკითხა მოწმეებს და გამოირკვა, რომ აზნაურიშვილის განცხადება სიმართლეს მოკლებული იყო. ბრალდებულმა აზნაურიშვილმა განაცხადა, რომ ვხელმძღვანელობდი მხოლოდ სიმართლით, რაც განვაცხადე ჩემს თხოვნაში, მართალია და ამიტომ ბრალდებისაგან განმათავისუფლეთო. ოლქის სასამართლომ ერთის საათის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი აზნაურიშვილი და მიესაჯა 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივლისი

პეტერბურგი. მისს უდიდებულესობის დედოფლის სასახლეში ალექსანდრიაში 22 ივლისს ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა იაპონიის პრინცი კომატცუ, რომელიც გამოეთხოვა და 23 ივლის მოსკოვს გაემგზავრა, საიდანაც ვლადივოსტოკისაკენ წავა.

ბელგრადი. სკუპშჩინამ მეორედ განიხილა სესხის შესახებ პროექტი და უცვლელად დაამტკიცა.

მემელი. გემი „ჰოჰენცოლერნ“-ი, რომელზედაც იმპერატორი ვილჰელმია, დღეს დილის ათ საათზე შორს ზღვაზე გამოჩნდა; თან ახლავს გემები „პრინც ჰეინრიხ“, „ნიმფა“ და „სლეიპნერ“. გემებმა ნაპირიდან ექვსის მილის სიშორეზე ჩაიარეს.

ვლადიმირი. ნაფიც ვექილს ლევიტსკის ნება მიეცა ყოველ დღიური გაზეთის „ვლადიმირსკაია გაზეტა“-ს გამოცემისა.

ვენა. გაზეთი „ფრემდენბლატტი“-ი გერმანიის იმპერატორის რეველს მოგზაურობის გამო სწერს, რომ ერთი მეორეზე რუს-ფრანგთა და რუს-გერმანთა ერთმანეთის ნახვა იმის მომასწავებელია, რომ რუსეთისა და საფრანგეთის რესპუბლიკის კავშირს გერმანიის იმპერიასთან კეთილი განწყობილება არ გამოურიცხავს. უმთავრესი საგანი დიპლომატთა მუშაობისა დღეს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობაა.

გაზეთი „ფოლკს-ცაიტუნგ“-ი გერმანიისა და რუსეთის იმპერატორების შეხვედრის გამო აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრას მთელის „მსოფლიოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მშვიდობიანობის ნიშანს.

გაზეთი „დოიტჩე ცაიტუნგ“-ი ამბობს: „თუ ორი მონარქი, რომელთაც ამდენი ძლიერი საშუალება აქვთ და წარმომადგენელნიც არიან ხმელეთის ორ უდიდესს სახელმწიფოისა, ერთმანეთს ხვდებიან, ისინი იმაზე შეთანხმდებიან, რა საშუალებით დაადგინენ სამშვიდობო გზას. სახელმწიფოთა შორის ისეთი გამწვავება, რომელსაც ომი შეუძლია გამოიწვიოს, დღეს თითქმის აღარ არის“.

ყაზანი. 22 ივლისს სიმბირსკიდან გემ „მეჟენ“-ით მოვიდა აქ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. სადილად მიწვეულ იყვნენ გემზე გუბერნატორი, შტაბისა და იუნკრების სკოლის უფროსნი. 23 ივლისს იმავე გემით დიდი მთავარი ნიჟნი-ნოვგოროდს გაემგზავრა.

რეველი. დილის 11 საათზე რეიდზე მოვიდა გემი „შტანდარტ“-ი. ნაშუადღევის პირველ საათზე ესტლიანდიის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ნავით წავიდა „შტანდარტ“ისაკენ, სადაც მის უდიდებულესობას მიეგება. 2 საათსა და 35 წუთს ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე ნავით ნავთ-სადგურისაკენ წაბრძანდნენ; ამ დროს ზღვაზე მდგომმა საარტილერიო ესკადრამ პატივსაცემად ზარბაზნები გაისროლა. ნავთსადგურზე მისს უდიდებულესობას მიეგებნენ: გუბერნატორი და ქალაქის მოურავი, რომელმაც ქალაქის სახელობით ვერცხლის ხონჩით პურ-მარილი მიართვა. ხელმწიფე იმპერატორმა ჯერ დარაჯი ინახულა და შემდეგ დიდ-მთავარ ალექსი ალექსანდრეს ძესთან ერთად ეტლში ჩაბრძანდა და ალექსანდრე-ნეველის ეკლესიაში წაბრძანდა. აქ მიეგებნენ მას მთელი კრებული მართლ-მადიდებელ სამღვდელოებისა ჯვრითა და აიაზმით. მოკლე პარაკლისის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი მიბრძანდა სასახლეში, სადაც მშვენივრად მორთულს დარბაზში მისს უდიდებულესობას წარუდგნენ მთავრობის ყველა მოხელენი. სასახლიდან ხელმწიფე-იმპერატორი წაბრძანდა ლიუტერანთა ვიშგოროდსკის ეკლესიაში, სადაც ლიუტერანთა ყველა სამღვდელოება მიეგება. ხელმწიფემ ინახულა სათავად-აზნაურთა საკრებულო, ქალაქის მმართველობა, დაათვალიერა „რუსალკა“-ს ძეგლი, პეტრე დიდის პატარა სახლი და ზღვაოსანთა საკრებულო; შემდეგ გამოესალმა და ეკატერინენტალის სასახლეში წაბრძანდა, სადაც ესტლიანდიის გლეხებისა და სიფხიზლის საზოგადოების მამასახლისებმა მისს უდიდებულესობას პურ-მარილი მიართვეს. სასახლის აივნიდან ხელმწიფე-იმპერატორმა მოისმინა აქაურ მომღერალთა საზოგადოების გუნდის სიმღერები; ქალნი-მომღერალნი თავისს ხალხის ესტონურს ტანისამოსში იყვნენ. საღამოს ექვს საათზე ხელმწიფე-იმპერატორი გემ „შტანდარტ“-ზე დაბრუნდა და ამ დროს ზღვაოსანთა ტანისამოსში ეცვა. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა ხელმწიფეს. ნავთ-სადგური და სახლები სრულიად მორთული იყო ბაირაღებით, ყვავილებითა და სხვა მორთულობით. ხელმწიფე-იმპერატორის მობრძანების დროს მშვენიერი ამინდი იყო, მერე-კი წვიმა მოვიდა.

24 ივლისი

ლონდონი. უკანასკნელის ცნობებით, 25 ივლისს (6 აგვისტოს) მეფე დიდის ამბით შემოვა ლონდონში. სადგურიდან ეტლით ბუკინჰემის სასახლისაკენ გაემართება, გროვენორის ქუჩით, ჰაიდპარკის ახლო.

სოფია. საერო კრებამ დაამტკიცა სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა და გადასდო 750 ათასი ფრანკი მიპკაზე აღლუმის გასამართავად.

სოფია. რუსეთის ესკადრა ვიცე-ადმირალის გილდებრანტის უფროსებით მოვიდა დღეს ვარნაში და ორს დღეს დარჩება.

ბერლინი. „ნორდ დოიჩე ცაიტუნგ“-ი ამბობს, რომ მეგობარ იმპერატორების შეხვედრა პასუხია იმპერატორ ნიკოლოზის შარშანდელ მოსვლისა დანციგის ნავთ-სადგურში. მაშინ ორმავე მეფემ სურვილი გამოსთქვეს, რომ წელს ერთმანერთს შეჰხვედროდნენ რუსეთის რომელსამე ნავთ-სადგურში და ეს, ჩვენდა სასიხარულოდ, კიდეც აღსრულდა ეხლა. იმპერატორს განსაკუთრებით ასიამოვნებს მიესალმოს რუსეთის დიდებულს ხელმწიფეს, რომელთანაც შეკავშირებულია საერთო გულითადის სიყვარულით. გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობა მეფეების შარშანდელ შეხვედრის შემდეგ კეთილად და სასიამოვნოდ განვითარდა და საქმეთა მდგომარეობის განხილვა ახლაც გულ-დამშვიდებით შეუძლიათ ორთავე ძლიერ მეფეთ, რომელთა პოლიტიკის საგანი მშვიდობიანობის დაცვაა. მოლაპარაკება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მინისტრებიც, გავლენას იქონიებს საზოგადო პოლიტიკაზე და განამტკიცებს მეგობრულს შეთანხმებას გერმანიასა და რუსეთს შორის. ბიულოვი ასრულებს იმპერატორ ნიკოლოზის სურვილს მით, რომ პირდაპირ მოლაპარაკებას იწყებს გრაფ ლამზდორფთან, რუსეთის პოლიტიკის გამოცდილ ხელმძღვანელთან.

სახალინი. ჩამოვიდა კატორგაში გაგზავნილთა ოჯახების მზრუნველ საზოგადოების მდივანი ბარონი ბუქსჰევდენი. სჯა აქვთ, თუ როგორ მოაწყესრიგონ შრომის მოყვარეობის სახლი, მოიპოვონ ბაზარი ამ სახლის ნაწარმოებთა გასასყიდათ და დააარსონ ციმბირში შრომის-მოყვარეობის სახლის ბიურო.

მიუნხენი. ბავარიის ჰერცოგის ზიგ-ფრიდისა და ავსტრიის ჰერცოგინას მარია-ანტუანეტას ნიშნობა დღეს, თანხმად ორივე მხარის სურვილისა, მოიშალა.

კონსტანტინეპოლი. ოხრიდასთან ას ალბანელთა და ოსმალელ ჯარის კაცთა შორის შეტაკება მოხდა: წინამძღოლი და 13 კაცი მოკლულია, დანარჩენები გაიქცნენ.

პეტერბურგი. მეშვიდე ქვეითი დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი პოტოცკი დაინიშნა მე-26 ქვეითი დივიზიის უფროსად. მე-56 სარეზერვო ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი პისარენკო დაინიშნა მე-32 ქვეითი დივიზიის უფროსად.

სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი რკინის გზებისა და ტარიფის საბჭოებში ჩისტიაკოვი დაინიშნა ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრად.

პეტერბურგის ბირჟა 23 ივლისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,80
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	278 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82⅛ „
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	90 „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	171 „

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევს 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 სადამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—სად. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—სად. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დილის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—სადამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) დამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) დამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დილის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) დამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.) 3) დილის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. 38 წ.)

შორაპნისაკენ—დილის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თითონ მოედნიდან გამართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი ბოგირიდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილებით და კედლები და თადები-კი სულ სახლებ-გარეთის ჩინურით (კაფელით). სუფთეისა სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდიანი. წყლის სითბო 37½° ც. ფასი მერია. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრი).

ტელეფონი № 555. (წლ.—5).

ხ ი ნ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

ვერის მოედანზე, ფურნესთან

ისყიდება საუკეთესო გახვეწებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754 (წ.).